პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
შაბათი, 22 ნოემბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 655 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

მთლიანი ფრონტით.

კაპიტალის პროლეტარიატზე შეტევა, რომელიც დაიწყო ე. წ. „დემოკრატიულ—პაციფისტურ ხანი“-ს დასრულების შემდეგ, აშკარა და ნათელი შექმნა ყველა ქვეყნის მშრომლებისათვის. კონსერვატორების გამარჯვებამ ინგლისში, საფრანგეთში მემარჯვენე რეაქციონური წრეების გაძლიერებამ, გერმანიაში არჩევნების დღეებში აღვირ—ახსნილი ფაშისტების თარეშმა და საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებში ბურჟუაზიულ ჯალათების მიერ მუშების ხვრეტამ ერთის მხრივ და ეკონომიურ ფრონტზე მუშათა ხელფასის დადებამ და სამუშაო დღის გადიდებამ მეორეს მხრივ—დაუმტკიცა მსოფლიო პროლეტარიატს მუშათა ფრონტის მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ გაერთიანების დაუყონებლივი საჭიროება.

დღეს საერთაშორისო მუშათა პროფესიონალურ მოძრაობას ხელმძღვანელობს ორი გაერთიანება: ამსტერდამის და პროფინტერნის. ამსტერდამის სათავეში დღემდის ისეთი პირებია, რომლებსაც ისეთივე დანაშაული მიუძღვით მუშათა კლასის წინაშე, როგორც 2 ინტერნაციონალის გამყიდველ ბელადებს. ამსტერდამის ინტერნაციონალი დღემდის ბურჟუაზიის შავი საქმეების შემწყობის როლს თამაშობს. ვერსალის ყაჩაღური ზავი და დოუესის გეგმა, რომლითაც გერმანიის პროლეტარიატს შიმშილით ამოწყვეტას ემუქრება, ამსტერდამის მხრივ არა თუ წინააღმდეგობას ნახულობს, არამედ ამსტერდამის შემთანხმებლები დიდ დახმარებას უწევენ მათ ცხოვრებაში გატარების დროს. ის გაჟღენთილია შემთანხმებლობით, რეფორმიზმით, ის ქადაგებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის თანხმობას.

ამსტერდამის გაერთიანების დასამხობად აღმართულია **პროფინტერნი**, რომელიც აერთიანებს ყველა ქვეყნის იმ მუშათა ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ და აღიარებენ რევოლიუციონურ მეთოდით ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პროფინტერნის ბურჯს შეადგენს საბჭოთა პროფკავშირები, რომლის რიგებში 6 მილიონამდე მშრომელი ითვლება.

პროფინტერნი იმ თავითვე გრძნობდა მუშათა კლასის გამარჯვებისთვის პროფ-მოძრაობის მთლიანობის საჭიროებას და მიუხედავათ იმ უფსკრულისა, რომელიც არსებობდა სოციალ-შემთანხმებელთა და მათ შორის, ის ყოველთვის უწვდიდა ხელს ამსტერდამის გაერთიანებას, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველთვის გაურბოდა მოლაპარაკებას.

ცხადია, ამსტერდამის შემთანხმებლები დიდხანს ვერ იყოლიებდენ თავიანთ გავლენის ქვეშ მათ მიმდევარ მუშათა კლასის ნაწილს.

ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ხშირი იყო შემთხვევა, რომ მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები გარეშე პროფესიონალურ ბიუროკრატებისა აწარმოებდენ მოლაპარაკებას პროფინტერნთან გაერთიანების შესახებ, რაც ხშირად პროფინტერნთან გაერთიანებით თავდებოდა.

დღეს უკვე ამსტერდამის მიმდევარ ყველა მუშათა ორგანიზაციებში არსებობს ძლიერი მემარცხენე ფრთები, რომლებიც უნდობლობით უყურებენ თავიანთ მეთაურების მოქმედებას.

ამას ხელს უწყობს საერთო პოლიტიკური ვითარება: მსოფლიო მაშტაბით კაპიტალის შეტევა პროლეტარიატზე.

ამ დღეებში საბჭოთა პროფკავშირთა და ინგლისის ტრედ-უნიონთა (ინგლისის პროფკავშირები) შორის დაიდო ისეთი დიდ მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომელიც მუშათა კლასის გამარჯვების და პროფ-მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით განუზომელია. ზაფხულში, საბჭოთა პროფ-კავშირების დელეგაცია დაესწრო ინგლისის ტრედ-უნიონების ყრილობას ქ. გულში; აქ დაიწყო მოლაპარაკება ამ ორ უდიდეს პროფ-კავშირების გაერთიანებულ მოქმედების შესახებ. მოლაპარაკება დასრულდა მოსკოვში საბჭოთა პროფ-კავშირების 6 ყრილობაზე.

დაარსებულ იქნა **მთლიანობის კომიტეტი**, რომელიც ჯერ-ჯერობით აერთიანებს ინგლისის და საბჭოთა პროფ-მოძრაობის და რომელიც აუცილებლივ მომავალ წელში შეივსება გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების პროფკავშირებით, მიუხედავათ იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც გაუწევენ მას ამსტერდამის რეფორმისტები.

აუცილებელი განმარტება.

სამხედრო საპროკურორო ზედამხედველობამ თავის დროზე გადაუგზავნა სამხედრო ნაწილების უფროსებს ცირკულიარული მიმართვა მათი (უფროსების) უფლებების ახსნა-განმარტებით, დისციპლინარულ წესით დასჯის დროს. სანიმუშოდ გარკვევით იყო აღნიშნული: წითელი არმიელი, რომელიც სამი დღე მეტათ მიატოვებს თავის ნაწილს, უნდა ჩაითვალოს დეზერტირად და მისი გასამართლება და დასჯა შეუძლია მხოლოდ სამხედრო ტრიბუნალს. სამი დღით ან ნაკლები დროით ნაწილის მიტოვება ჩაითვლება განშორებათ, რაც დისციპლინარულ წესით ისჯება ნაწილის უფროსის მიერ. მაგრამ, მიუხედავათ ასეთ დროულ და გარკვევით განმარტებისა, დღესაც აქვს ადგილი ხელისუფლების გადამეტებისა ნაწილის უფროსების მხრივ. ავიღოთ სანიმუშოდ ცხენოსანი ლეგიონი, სადაც ღლონტის ლეგთავად ყოფნის დროს, ადგილი ქონდა ასეთ მოვლენას: წ-არმიელი ჯმუხაძე ათი დღით გაიქცა ნაწილიდან; ლეგთავი მას ათი დღით სჯის დისციპლინარულ წესით აქ ხელისუფლების გადამეტებას ქონდა ადგილი ლეგთავის მხრივ. ტრიბუნალი საქმის გარკვევის დროს ფაქტის წინაშე დადგა, დანაშაულისათვის ჯმუხაძე ერთხელ უკვე დასჯილა, კანონით კი ერთ და იმავე დანაშაულისათვის დამნაშავე ორხელ ვერ დაისჯება. საქმე ისპობა ჯმუხაძის შესახებ და ტრიბუნალი ადგენს: აღიძრას ლეგთავის ღლონტის წინააღმდეგ საქმე თავის უფლების გადამეტებისათვის.

აქ არ გაგების ან ვერ გაგებას ამ კანონების ნაწილის უფროსების მხრივ არ უნდა ქონდეს ადგილი, რომ შემდეგშიც არ განმეორდეს ზევით აღნიშნული შემთხვევა.

წითელი არმიელი, რომელიც სამი დღე მეტი სტოვებს თავის ნაწილს, დეზერტირია და მას ვერ დასჯის დისციპლინარულ წესით ნაწილის უფროსი, არამედ მისი საქმე ირჩევა სასამართლოს წესით.

დ. ხიხაძე.

რადიო-დეპეშები.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე.

კათოლიკურ მღვდლის ფედუკოვიჩის წერილის გარშემო.

თითქმის ყველა გაზეთებმა მოათავსეს როსტას ცნობა კათოლიკე მღვდელის ფედუკოვიჩის წერილის შესახებ, რომელშიაც ფედუკოვიჩი ბრალს სდებს პოლონეთის მთავრობას იმაში, რომ ის ხრწნის კათოლიკურ სამღვდელოებას უკრაინაში და ითრევს მას ჯაშუშობაში პოლონეთის სასარგებლოდ.

წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გაზეთები მოითხოვენ მთავრობისაგან განმარტებას.

„ზინოვიევის წერი-ლი“

ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ ბალდვინი ადასტურებს ზინოვიევის ავტორობას ხსენებულ წერილში და განზრახული აქვს გაუგზავნოს რაკოვსკის მკაცრი ნოტა „კომუნისტურ პროპაგანდის“ საკითხის შესახებ.

საბჭოთა კავშირი და საერთაშორისო გამოფენა პარიზში.

სახალხო განათლების კომისარიატმა საჭიროდ სცნო საბჭოთა კავშირის მონაწილეობა პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება 1925 წლის აპრილში.

პანების პოლონეთში.

ორი პარტიზანის დახვრეტა.

სამხედრო სასამართლოს დადგენილებით, როვნოში დახვრიტეს პარტიზანები —ტროფიმჩუკი და კურიატა.

რაშია საქმე?

ვარშავაში მყოფი ინგლისის საელჩო და პილსუდსკი ერთმანეთს დაუახლოვდენ.

გაზეთების ცნობით პილსუდსკი ინახულა ჯერ ინგლისის რწმუნებულმა მაკს მილერმა, შემდეგ ინგლისის სამხედრო ატაშემ—პოლკოვნიკ კლეიტმონ.

გერმანია არჩევნების წინ.

„რესპუბლიკანურ ფლაგის კავშირი“.

„რესპუბლიკანური ფლაგის კავშირის“ პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან 23 ყოფილი და დღევანდელი სოლქო მინისტრი, რეიხსტაგის და ლანდტაგის 17 დეპუტატი, 2 ელჩი და 3 გენერალი. კავშირში შევიდა ფაშისტური ორგანიზაციების მთელი წყება.

შეთანხმება სახალხო პარტიასა და ნაციონალისტებს შორის.

მეკლენბურგ—შვერინგში სახალხო და ნაციონალური პარტიები აპირებენ შეთანხმებას არჩევნებში, რომლის თანახმად ისინი არ გამოვლენ არჩევნებზე ერთმანეთის წინააღმდეგ.

დევნიან ქარხნების გაზეთებს.

უკანასკნელ დროს ბერლინის პოლიცია გაძლიერებით დევნის ქარხნების არალეგალურ გაზეთებს. სწარმოებს გაძლიერებული ჩხრეკა.

კონსერვატორულ მთავრობის მოღვაწეობა.

რევოლიუციონერთა წინააღმდეგ.

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიგსმა კროიდონის კრებაზე განაცხადა, რომ მთავარი პრინციპი უცხოელთა მიმართ აგებული უნდა იქნას იმ შეხედულებაზე, რომ უცხოელებმა არ უნდა წაართვან სამუშაო ინგლისელებს. მეორე პრინციპი არის ინგლისიდან განდევნა იმ პირების, რომლებიც ჩაიდენენ რაიმე დანაშაულს და დაარღვევენ ინგლისის კანონებს.

ეს განცხადება მიმართულია უცხოელ რევოლიუციონერ პროპაგანდისტების შესვლის წინააღმდეგ ინგლისში.

ბრძოლა 2 ნახ. ინტერნაციონალის პროექტის წინააღმდეგ.

ხეგლუნდისა და მისი მომხრეების ცდებთან დაკავშირებით, რომ შექმნათ ახალი ინტერნაციონალი, კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა ხეპერმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „2 ნახ. ინტერნაციონალის პროექტის წინააღმდეგ კომინტერნმა დაადგინა მოიწვიოს სკანდინავიაში კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შვეციის, ნორვეგიის, დანიის, და ფინეთის კომპარტიებმა.

ეს კონფერენცია გაარკვევს ბრძოლის იდეოლოგიურ და საორგანიზაციო ამოცანებს ხეგლუნდის ინტერნაციონალის წინააღმდეგ.“

მუშათა მოძრაობა.

საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების შესახებ.

გაზ. „ფორვერტსი" განაგრძობს კამპანიას პროფმოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ ნაციონალურ და საერთაშორისო მაშტაბით გაზეთი კვლავ უბრუნდება კომინტერნის დამოკიდებულების საკითხს პროფკავშირთა მომავალ ინტერნაციონალისადმი და კვლავ იმეორებს პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიერ წამოყენებულ საკითხებს.

გაზეთი მოითხოვს, რათა ეს საკითხები გადაჭრილ იქნან მსოფლიო კონგრესამდი. „უკანასკნელ წლების მცირე გაკვეთილების შემდეგ—ამბობს გაზეთი—უნდა გამოვიჩინოთ მოსკოვის მიმართ დიდი სიფრთხილე.

ჩვენ ვალდებული ვართ თვალყური ვადევნოთ იმას, რათა ერთიანი ფრონტის ნიღაბით არ იქნას გატარებულ მუხანათური თამაში პროფკავშირებთან".

ბურჟუაზიული ლაყბობა.

შვეიცარიის ბურჟუაზიული გაზეთი სწერს: „კომუნისტების მიერ წამოყენებული პირობები პროფკავშირთა გაერთიანების შესახებ გვიმტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატებს ყოველგვარი საბუთი აქვთ უნდობლობა გამოუცხადონ. ეს პირობები სავსებით ეწინააღმდეგებიან დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის საფუძვლებსა და მეთოდებს.

ყოველგან, სადაც კომუნისტებმა შესძლეს ხელმძღვანელობა ჩაეგდოთ ხელში პროფკავშირთა შორის, ეს უკანასკნელები ჰკარგავდენ დამოუკიდებელ ორგანიზაციების სახეს.

რუსეთის პროფკავშირები დამოკიდებული, იძულებითი ორგანოა სახელმწიფო ხელისუფლების. ფინეთში პროფკავშირები გადაქცეულია კომუნისტურ ორგანიზაციებად. კომუნისტები ისეთ ტაქტიკას აწარმოებენ სოციალ-დემოკრატებთან, როგორც ბურჟუაზიის მიმართ.

ბერლინის წიგნის მკინძავი მუშები პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრეა.

ბერლინის წიგნის მკინძავ მუშათა ოპოზიციონურ ჯგუფების კრებამ მხარი დაუჭირა პროფმოძრაობის მთლიანობას საერთაშორისო მაშტაბით და მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

ბრესლავლის მუშების გაფიცვები.

გაიფიცენ ბრესლავლის ელექტრიულ სამრეწველოების მუშები, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ.

საბჭოთა ფედერაცია.

პარტიული გადასინჯვა ოდესის მხარეში.

პარტიული გადასინჯვა ოდესის მხარეში თითქმის დამთავრდა. ლოთობის შემთხვევებს ნაკლებად ჰქონია ადგილი ორგანიზაციებში; მორალურ თვითნებობა ნაკლებად არის გავრცელებული. ზოგიერთ ოლქებში, მაგალითად ზინოვიევსკში არის შემთხვევები, რომ მომუშავეები მრავალ წლობით (7 წლამდი) მუშაობენ ერთ და იმავე ადგილზე.

სრულიად კავშირის მელითონეთა კონფერენცია.

20 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა კავშირის მელითონეთა კონფერენცია.

პროფკავშირთა ცეკას პრეზიდიუმის წევრმა ვორობიოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ლითონის სამრეწველოებში მომუშავეთა რიცხვი აღწევს 537.000-დი. ამათგან კავშირის წევრი არის 495.000 კაცი. საწევრო გადასახადები სუსტად შემოდის.

რადიო ყოველ მხრიდან.

ფინეთის მთავრობა გადადგა.

აგრარიების განცხადების გამო, რომ მათი წარმომადგენლები გამოდიან მთავრობის შემადგენლობიდან ინგმანის კაბინეტი გადადგა.

ავსტრიის ახალი მთავრობა.

ნაციონალურმა კრებამ (ავსტრიის პარლამენტი) აირჩია ახალი კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით: ვიცე-კანცლერი-ვებერი, ფინანსთა მინისტრი-ანნერი, საგარეო საქმეთა მინისტრი-მატაი. დანარჩენ სამინისტრო პოსტებზე არჩეულ იქნენ ზეიპელის კაბინეტის ძველი მინისტრები.

ოსმალეთის ახალი პარტიის მანიფესტი.

ახლად შემდგარმა რესპუბლიკანურ-პროგრესიულმა პარტიამ გამოუშვა მანიფესტი, რომელშიაც აცხადებს, რომ ის უარყოფს ყოველგვარ ცუდ ზრახვებს ნაციონალურ მთლიანობის მიმართ. ჩვენ პატივს ვსცემთ მეჯლისის უფლებებს და დავიცავთ ყველას თავისუფლებას ისე, რომ ერთის თავისუფლება არ სჩაგრავდეს მეორეს თავისუფლებასო.

ოფიციალური უარყოფა.

ოფიციალურად უარყოფენ ხმებს რესპუბლიკის პრეზიდენტ მუსტაფა-ქემალის საფრანგეთში წასვლის შესახებ.

ესპანეთის იმპერიალისტები მარცხდებიან.

სამხედრო აჯანყების მონაწილეთა დაპატიმრება.

მადრიდში დააპატიმრეს ოცი ჯარის კაცი, სამხედრო აჯანყებაში მონაწილეობისათვის. ეს აჯანყება გამოწვეული იყო იმით, რომ სამსახურის ბევარა მოხდილი ჯარის კაცების განთავისუფლება შეაჩერეს.

ესპანელები მარცხდებიან მაროკოში.

ესპანელი ჯარები განაგრძობენ უკან დახევას. სასტიკი ბრძოლების შემდეგ გენერალ სერანოს ჯარებმა დაიკავეს ხერუტა, აქ მოკლულ იქნა გენერალი სერანო.

ჩეხიის პარლამენტის ოპოზიცია.

ჩეხიის პარლამენტის ოპოზიციონურ პარტიებმა დემონსტრატიულად განაცხადეს უარი სახელმწიფო ბიუჯეტის გარჩევაში მონაწილეობის მიღებაზე და გამოვიდენ პარლამენტიდან.

აგრარული გაზეთი „რეფორმა" მოითხოვს სახელმწიფო მოსამსახურეების შტატების შემცირება და პირველ რიგში—კომუნისტების დათხოვას სამსახურიდან.

ირლანდიის რესპუბლიკანელთა გამარჯვება.

ირლანდიის პარლამენტის პირველ არჩევნებში გაიმარჯვა რესპუბლიკანურმა პარტიამ. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია ირლანდიის პოლიტიკურ წრეებში.

თვითგანვითარების საქმე ჩვენს ჯარში.

ეს საკითხი ახალი არ არის, მაგრამ მისი ხელ-ახლა წამოჭრა გამოწვეულია ერთი მხრივ პარტიულ და უპარტიო უფშემადგენლობის პოლიტ-ცოდნის შემოწმების შედეგებით და მეორეთ თვით განვითარების ბიუროს დაარსებით.

უფროსთა შემადგენლობის პოლიტ-ცოდნის შემოწმების შედეგებმა დაგვანახეს რომ მეთაურები პოლიტიკურად ცუდად მომზადებულნი ყოფილან და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მათ შორის პოლიტიკური მეცადინეობა ცოტათ თუ ბევრათ მაინც სწარმოებდა, იმ დასკვნამდი უნდა მივიდეთ, რომ თვით განვითარების საქმე და საერთოთ ინტერესი თვითგანვითარებისა ძალიან მცირე ყოფილა.

ზედმეტია ქართულ ჯარის არსებობის მე-4 წელში ვილაპარაკოთ მასზე, თუ რამდენათ აუცილებელია უფროსთა შემადგენლობისათვის პოლიტიკური და საერთო განათლება.

ცუდია ის მეთაური, რომელიც ვერ შესძლებს პასუხის გაცემას ყველა იმ საკითხებზე, რომელსაც დაუსვამს წითელ არმიელები. ასეთი მეთაური ვერ იქნება ავტორიტეტის მატარებელი, რომელსაც ქარ-ცეცხლში უნდა წაუყვეს წითელი მოლაშქრენი.

ზოგიერთი მეთაურები და პოლიტ-მომუშავეები იმ აზრამდი მოსულან, ვითომც პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა, მხოლოდ პოლიტ-შემადგენლობის მკვიდრი მოვალეობა არის და უფშემადგენლობის წილი ამ მუშაობაში ვერაფრად საჭიროა.

ეს სრულიად არ გულისხმობს, რომ ავთქვიფოთ პოლიტიკური და სამხედრო სამწყობრო მუშაობა ერთი მეორეში, მაგრამ მათი დაცილებაც მიზან-შეუწონელია.

საფუძვლად ჩვენი მუშაობისა, ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა მივიღოთ, **რომ ცუდია პოლიტიკურად უვიცი მეთაური და სამხედრო საქმის უვიცი პოლიტიკური მომუშავე.**

თუ კი მივიღებთ აღნიშნულ დებულებას უდავოთ, რაც თავის თავად უდაო უნდა იყოს, მაშინ ჩვენ უნდა ვეძიოთ საშუალება უფშემადგენლობის პოლიტიკურად გათვითცნობიერებისათვის და პოლიტ-შემადგენლობის სამხედრო საქმის შესწავლისათვის.

პოლიტ-მომუშავეთა შორის სამხედრო სამწყობრო მეცადინეობა უკვე გატარებულია, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვიცით შედეგები დასრულებულ მეცადინეობისა.

ამ საკითხზე მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გვეცოდინება პოლიტ-მომუშავეთა სამხედრო-სამწყობრო საქმის შეთვისების ხარისხი და თანაც აღნიშნული საკითხი წერილის თემას პირდაპირ არ შეეხება.

დაუბრუნდეთ ისევ უფროსთა შემადგენლობის და წითელ არმიელთა პოლიტიკურად აღზრდის და მათ შორის თვის განვითარების საქმის მოგვარების საკითხებს.

ახლო წარსულში პოლიტიკურ განყოფილებასთან დაარსებული ექნება „თვით განვითარების დამხმარე ბიურო".

აღნიშნულ ბიუროს თავის მუშაობაში საფუძვლად არ დაედო განსაზღვრული ფუნქციები, მან თვითონ უნდა ეძიოს პირობების მეხედვით საშვალებები და გზები თვითგანვითარების საქმის მოგვარებისათვის.

ბიუროს დაარსების აუცილებლობა კი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პოლიტ-შემადგენლობაზე გადატანა ამ მუშაობისა, უკანასკნელის თვისების გამო, შეუძლებელია და პოლიტიკური მეცადინეობა, რომელიც აქამდე სწარმოებდა ნაწილში სავსებით დამაკმაყოფილებელი არ არის.

ბიუროს მუშაობა არის დამატება მეცადინეობისა, რომელიც სწარმოებს უფშემადგენლობის შორის და სხვა და სხვა წრეებში.

ბიუროს მუშაობა უნდა გაიყოს ორ ნაწილად: 1) თვითგანვითარების საქმე წითელ არმიელთა შორის და 2) უფ და პოლიტ-შემადგენლობის შორის.

პირველი ნაწილი თითქმის წერა-კითხვის უცოდინარნი და მეორენი კი სათანადო საერთო განათლებას მოკლებულნი არიან.

რასაკვირველია, სანამ წითელ მოლაშქრეთ არ ჩაეყრებათ საერთო განათლების საფუძველი, წერა-კითხვის უცოდ. ლიკვიდაციის სკოლების საშუალებით, ზედმეტია თვით განვითარებაზე ლაპარაკი.

ამ მხრივ საჭიროა წერა-კითხვის უცოდ. ლიკვიდაციის საქმის ისეთი დაყენება რომ ის აძლევდეს წითელ არმიელს მომავალში თვითგანვითარების საშუალებას.

პოლიტიკური მეცადინეობა კი მათ შორის სწარმოებს პოლიტ-საათის სახით.

აღნიშნულ პირობების გამო ჩემის აზრით „თვითგანვითარების ბიუროს" ამოცანებს უნდა შეადგენდეს: **დახმარება: პოლიტიკური მეცად-ნეობა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, რათა ამით მომზადდეს პირობები წითელ არმიელთა თვითგანვითარების უნარიანობისათვის.**

რაც შეეხება უფროსთა შემადგენლობას, აქ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, თვითგანვითარების ინტერესის გაღვივება და შემდეგ ხელის შეწყობა თვითგანვითარების საქმის მსვლელობისათვის.

ერთი უმთავრესი ნაკლი პოლიტ-მეცადინეობისა, რომელსაც შეუძლია თავისი დაღი დაასვას უფროსთა და წითელ არმიელთა პოლიტიკურ და საერთო განათლების საქმეში (რაიც ხშირად პოლიტ-საათის დამახასიათებელ თვისებასაც წარმოადგენს) არის საერთო მქუხარე ფრაზეოლოგია და საერთო სიტყვებით განმარტება მცნებისა, რომელიც არავითარ კონკრეტიულ წარმოდგენას არ აძლევს წითელ არმიელთ და უფ-შემადგენლობასაც საგნებზე და მოვლენებზე.

არ იქნებოდა ზედმეტი გამორკვევა თუნდაც ანკეტის საშუალებით, თუ როგორ ატარებს პოლიტიკური მომუშავე და მეთაური თავისუფალ დროს, როგორ დატვირთულნი არიან ისინი სამსახურიის საქმეებით და აქვთ თუ არა შესაფერისი პირობები თვითგანვითარებისათვის—რაიც მოგვცემდა საშუალებას წინასწარ შეგვეფასებინა ბიუროს მუშაობის ნაყოფიერება და ხასიათი.

პრაქტიკულად, როგორ უნდა შევსძლოთ უფპოლიტშემადგენლობის თვითგანვითარების საქმით დაინტერესება, თუ კი ეს ეგრე აუცილებელია?

უპირველეს ყოვლისა ამა თუ იმ მეთაურის და პოლიტ მომუშავეს შეფასების დროს, სერიოზული **ყურადღება უნდა მიექცეს ამხანაგის** თვითგანვითარების უნარიანობას და მის ცდას ამხანაგების განვითარებისათვის.

მეორე საშუალება მიზა დვა პარტ. და უპარტიო უფშემადგენლობისა კოლექტიურად მოხსენებების დამუშავებაში და დისპუტებში არა მარტო პოლიტიკური საკითხებზე, არამედ ისეთი საკითხზედაც, რომელიც მოსპობს რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და შეავსებს მის მსოფლმხედველობას დიდია პარტორგანიზაციის დანიშნულება თვითგანვითარების საქმის მოწესრიგებაში, მან უნდა აიღოს ხელში მფარველობა და ხელმძღვანელობა: აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ პარტორგანიზაციების მიერ მარქსისტული ხაზის გატარება და შეჯგუფება უპარტიო უფროსთა შემადგენლობისა პარტიულ და საკავშირო სკოლებთან (უკანასკნელები ჯერჯერობით ჩვენს ნაწილებში არ არსებობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში დაარსებული იქნება).

ბიურომ კი უნდა მიუთითოს ამხანაგებს თუ როგორ სისტემით უნდა აწარმოონ მეცადინეობა, მიაწოდოს პროგრამა და წესი მეცადინეობისა, მიუთითოს მასალები და თანაც შეძლების და მიხედვით ეცადოს ნაწილის წიგნსაცავების შევსება შესაფერისი წიგნებით.

ამ რიგათ ბიბლიოთეკების, მასწავლებლების, პარტორგანიზაციების და „თვით განვითარების დამხმარე ბიუროს" შეკავშირებულ მუშაობით ჩვენ შევსძლებთ ავამაღლოთ არმიაში მომუშავე ამხანაგების პოლიტიკური ცოდნის დონე. შესაძლოა ეს წერილი მკრთალი იყოს მაგრამ მან თუ შესძლო აზრთა გაცვლა-გამოცვლის გამოწვევა ის თავის მიზანს მიაღწევს.

ა. ქ.

ჩვენი წითელი ჯარი

მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდში დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. წითელი არმიელები დიდი სიხარულით მიეგებენ ამ საქმეს და ენერგიულათაც მეცადინეობენ.

აგრეთვე მოვაწყვეთ წითელი კუთხე, რომელსაც ბევრი სარგებლობა მოაქვს მოსწავლეთათვის. არმიელები ენერგიულათ მუშაობენ, და არ ზოგავენ თავის ენერგიას არც მასწავლებელი და პოლიტ-ხელები. კუთხე მორთულია ამხ. ლენინის და სხვა ბელადების სურათებით.

ჩვენ ძველი წითელი მოლაშქრეები უსურვებთ ახლად მოსულ არმიელებს ენერგიულად შესდგომოდენ თავიანთ გათვითცნობიერების საქმეს.

წითელი ჯარი მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო ალიჭურვებიან ცოდნითა და შეგნებით.

ქ. ლუხუტის პირელი.

მეორე ტერიტ. ლეგიონის კლუბის ცხოვრებიდან.

დღემდის მეორე ტერ-ლეგიონს არ ქონია საკუთარი კლუბი და მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში შევსძელით დაგვეარსებია რომელიც ზრდის და თან ანვითარებს ჩვენ წითელ არმიელებს და ესაუბრება მათ მომავალ ცხოვრებაზედ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს კლუბი ნამდვილათ გაამართლებს ჩვენს იმედებს.

დღემდის ხშირად შეხვდებოდით ჩვენს წითელ არმიელებს, რომლებიც ელაპარაკებოდენ ერთმანეთს „რატომ ჩვენ არ გვაქვს კლუბიო და სხვა“.

ამ ჟამად კი ძლიერ გახარებული არიან და ყველა სიამოვნებით ეწერებიან სხვა და სხვა წრეებში, დიდი მონდომებით მეცადინეობენ და სათანადო განვითარებასაც ღებულობენ მისი საშვალებით.

კლუბის უფროსმა ამხ. ლომიძემ შესძლო თავისი ენერგიული მუშაობით მისი ჩამოყალიბება, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია მთელი ლეგიონისაგან და კერძოთ კლუბის გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს მას მისი ენერგიულ მუშაობისათვის.

ნიგვზიანელი.

ჩვენი ათასეულიც ამუშავდა.

მეექვსე ტერ-ლეგიონის მეორე ათასეული გადაგზავნილი იქნა ქალაქ ზუგდიდში. პირველ ხანებში ძლიერ გვაშინებდა ის გარემოება, რომ ახალ ადგილზე ჩქარა ვერ მოვეწყობოდით და ლეგიონში გაჩაღებული პოლიტსაგანმანათლებლო და სხვა მუშაობა დიდ ხანს შეგვაჩერდებოდა. უსაფუძვლო შეიქნა ასეთი შიში. ჩვენი ათასეულის უფ-პოლიტ-შემადგენლობა მისვლისთანავე ენერგიულად შეუდგა მუშაობას და სამაგალითოდ მოაწყო მეცადინეობის საქმე.

კლუბი მოეწყო, მასში არსებულ წრეებშიც გაჩაღდა მუშაობა. ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებს და მშრომელ ხალხს თანდათან უკავშირდებით.

ოქტომბრის შვიდი წლის თავის დღესასწაული დიდის ზეიმით გადავიხადეთ, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ათასეულის მთელმა შემადგენლობამ.

ათასეულში წარმოებული მუშაობა იმის იმედს იძლევა, რომ ის თავისი მომზადებით და სოფლებთან კავშირის გაბმით არ ჩამორჩება სხვა ტერიტორიალურ ნაწილებს.

სამხკორი **ნაკაშიძე.**

დახმარებაც ასეთი უნდა.

მეხუთე ტერ-ლეგიონის მესამე ათასეული იმ იმედით გაემგზავრა დაბა ჰრებალოში, რომ მის მუშაობის ადგილობრივ მშრომელ ხალხთან კავშირის დაჭერაში ხელს შეუწყობდა იქაური სამაზრო და ადგილობრივი ხელისუფლება. მართლაც გაგვიმართლდა იმედები.

ჯერ კიდევ ახალი ჩასული ვიყავით დ. ჰრებალოში, რომ გვეწვია ლეჩხუმის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიმინაშვილი და აღგვითქვა ყოველგვარი დახმარება, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

კლუბისა და სამკითხველოს მოსაწყობათ ამხანაგმა მოგვაწოდა სათანადო თანხები და ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის დღესასწაულისათვის კი გადმოგვიგზავნა მაზრიდან კინემატოგრაფი თავისი მოწყობილობით.

ათასეულის მთელი შემადგენლობა გულითად სალამს უძღვნით ამხ. მიმინაშვილს ასეთი ყურადღებისათვის და უსურვებ მრავალი წლების განმავლობაში ენერგიულად იმუშაოს საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ.

სამხკორი **ყულისკარელი.**

ჩვენი ახალწვეულები იმედებს ამართლებენ.

პირველი ლეგიონის მეორე ასეულის ახალწვეულები თანდათან მიეჩვიენ წითელ ყაზარმას და ძველ წითელ-მოლაშქრეებს. მოვიდენ თუ არა, შეუდგენ მუშაობას, გაამშვენიერეს ყაზარმა, მოაწყვეს წითელი კუთხე, სადაც სისტემატიურად ტარდება ხმამაღალი კითხვა. პოლიტ-ხელები ენერგიულად მუშაობენ. თითეული გაუგებარი სიტყვა და გაუგებარი აზრი მარტივდება, ეძლევა სათანადო ახსნა.

ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის წინა დღეებში ახალწვეულებს აუხსნეს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა მშრომელი ხალხისათვის.

თითქმის ყოველ დღე საღამოობით ჩვენი ასეულის უფროსი მოუყრის თავს ახალწვეულებს და ასწავლის სხვა და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს, მართავს ცეკვათამაშს და ამხიარულებს მათ. ასეთი მოქცევით ძლიერ კმაყოფილი არიან ახლად მოსული ამხანაგები და უფროსების ყოველ გვარ დავალებებს დიდი სიხარულით ასრულებენ. წერა-კითხვის შესწავლით და სამხედრო ცოდნის შეძენით ძლიერ არიან დაინტერესებული, რაც აუცილებლად იმის თავდებია, რომ ჩვენი ახალწვეულები სავსებით გაამართლებენ წითელი არმიელის სახელწოდებას.

სამხკორი **ტასოშვილი.**

სოფელს მჭიდროდ უახლოვდებით.

მეექვსე ლეგიონი დიდი ხანი არ არის, რაც დაბინავდა ქალ. სენაკში, მაგრამ სოფელთან დაახლოება მაინც შევსძელით.

თავიდანვე მიღებული იქნა ზომები, რომ მთელი ჩვენი ცოდნა გადაგვეტანა სოფლის გლეხობაში და ამნაირად ხელი შეგვეწყო სოფლის ჩამორჩენილი გლეხობის განვითარებისათვის.

მეორე მხრივ შეგნებული გვქონდა ისიც, რომ სოფელთან ასე მისვლა გააძლიერებდა კავშირს გლეხებსა და წითელ არმიის შორის.

ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩვენი ლეგიონის პირველი ასეულის წითელ-არმიელები გაემგზავრენ სოფელ ზხეფში. დიდი სიხარული გამოიწვია იქ ჩვენმა მისვლამ, განსაკუთრებით, როდესაც აუხსენით გლეხებს ჩვენი მისვლის მიზანი. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი და გაჩაღდა ხალისიანი საუბარი და შემდეგ კი გაიხსნა კრება.

მოხსენების თემა იყო: ძველი და ახალი ჯარი.

მოხსენება დალაგებული და უბრალო ენით იქნა გადაცემული. აქ ერთხელ კიდევ დარწმუნდა ამ სოფლის გლეხობა, რომ შედარება არ შეიძლება ძველსა და წითელ ჯარს შორის. წითელი არმია—ეს ჩვენი ინტერესების დამცველი, ჩვენი სული და გულიაო-გაიძახოდენ სოფლელები.

კრების შემდეგ ადგილობრივ გლეხებთან გაიმართა ცეკვა-თამაში და მხიარულებას საზღვარი არ ქონდა. დავემშვიდობეთ ამხანაგებს და წამოვედით. გლეხებმა გამოგვაცილეს და გვთხოვეს ხშირად ვწვეოდით მათ.

ლეგიონის მუშაობა ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს და ამ ახლო მომავალში ალბად ჩვენ სავსებით შევსძლებთ მათთან მჭიდრო დაახლოვას.

ა. ჭკადუა.

მე-3-მე ტერ-ლეგიონის მე-2-რე ათასეულის საერთო მდგომარეობა.

პოლიტ-საათი.

ჩვენს ათასეულში პოლიტსაათი ტარდება სისტემატიურად, წითელ მოლაშქრეებმა საგრძნობლად შეითვისეს პოლიტიკური ცოდნა. და ეს იქედან სჩანს რომ შეკითხვებზე სწორსა და გარკვეულ პასუხს იძლევიან.

კომუჯრედი.

კომუჯრედი ჩამოყალიბებულია 7 ოქტომბრიდან და ამ ხნის განმავლობაში ღია კრებები მოხდა ოთხჯერ. ყველაზე მეტად წითელ არმიელები ეტანებიან კომუჯრედის კრებებს. ამას წინად მე-3-მე ტერ-ლეგიონიდან გვესტუმრენ: სამხკომი კობიძე, მისი თანაშემწე მხეიძე, და განს. განყ. რწმუნებული ჩერნიევი, რომლებმაც კომუჯრედის მუშაობაში აღმოაჩინეს **დეფექტები** და მოგვცეს სათანადო ახსნა განმარტება. მას შემდეგ მუშაობამ უფრო სწორი მიმართულება მიიღო.

ახ. ლენინელთა მუშაობა.

ახ. ლენინელებს ყავთ თავიანთი ორგანიზატორი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივ ორგანიზაციასთან და ერთად ატარებენ სხვა და სხვა კომპანიებს როგორიც არის შაბათობა და სხვა. ჩვენს ათასეულში სულ 8 ახ. კომკავშირელია. ზოგნი მათგანი თხოულობენ პარტიის რიგებში გადაყვანას, რასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობა ჩვენთან ჩინებულად მიმდინარეობს.

დრამწრემ დადგა 4 წარმოდგენა, უმთავრესად წითელ არმიელთა ძალებით. წრეებიც ჩამოყალიბებულია. უმთავრეს როლს თამაშობს პოლიტიკური წრე, რომლის მეცადინეობა ნაყოფიერად მიმდინარეობს თვით წითელ არმიელები ამზადებენ ამა თუ იმ თემებს და აკეთებენ მოხსენებებს.

სულ ხუთი წრეა კლუბში და თითეული მათგანის მუშაობა ფრიად ნაყოფიერად მიმდინარეობს.

ბიბლიოთეკა.

აქამდე ჩვენი ბიბლიოტეკა ცუდ მდგომარეობაში იყო, ვინაიდან არ ყავდა ბიბლიოტეკარი, მაგრამ ეხლა მოგვივიდა და სამკითხველოს საქმეებიც მოწესრიგდა. მხოლოდ მე-3-მე ლეგიონში დაგვრჩა რამოდენიმე წიგნები და ძალიან კარგს იზამენ რომ დაუყონებლივ გადმოგვიგზავნიდენ.

სკოლის საქმე.

ათასეულში ჩქარა მოხდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რადგან სასკოლო სწავლას დათმობილი ქონდა მეტი საათები. მასწავლებელი ენერგიული გვყავს, ის აუცილებლად გაამართლებს იმედებს.

სამხკორი **ბალათურია.**

პარტიული ცხოვრება.

პოლიტ-სკოლის კომუჯრედში.

14 ნოემბერს შესდგა სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის მორიგი ღია კრება. ჩვენი უფ-პოლიტ-შემადგენლობიდან კრებას თითქმის ყველა დაესწრო.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:
საერთაშორისო მდგომარეობა, სამნეო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება და სამხკორ-პარტკორის არჩევნები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. საათაშვილმა და მათითაიშვილმა. ისინი შეეხენ ინგლისის ამბებს, საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას და გადავიდენ შემდეგ თვით ჩვენი რესპუბლიკების მდგომარეობაზე. მოხსენება მეტად დალაგებული და შინაარსიანი იყო, რამაც საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა. მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ პოლიტსკოლის კურსანტები მთელ თავის ენერგიას მოახმარენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაცვის საქმეს.

სკოლის სამნეო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ხუჭუამ. გამოირკვა რომ სკოლის სამნეო მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში ძლიერ გამოკეთებულა. ერთი შემთხვევაც არ ყოფილა ბოროტმოქმედების და სურსათ-სანოვაგისა და სხვათა განაწილების საქმე ყოველთვის წესიერად სწარმოებდა.

კომისიის მუშაობა მოიწონა კრებამ და იქვე იქნენ არჩეული სამნეო დამხმარე ჯგუფის ახალი წევრები.

ამას გარდა მოხდა სამხკორის, პარტკორის და ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის პრეზიდიუმის არჩევნებიც. შემდეგ კრებამ განიხილა ზოგიერთ ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. მიმდინარე საკითხები არ აღმოჩნდა.

პარტკორი **ნანუაშვილი.**

კომკავშირელთა შორის.

18 ნოემბერს შესდგა პირველ ცალკე საკავშირო ასეულის კომკავშირის ჯგუფის მორიგი კრება. განსახილველი იყო მრავალი საყურადღებო საკითხები: ახალგაზრდათა კომინტერნის ხუთი წლის თავის აღნიშვნა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის მორიგი ამოცანები წითელ ჯარში, დივიზიის ახკომკავშირში მომუშავეთა თათბირის ოქმის დამტკიცება, სხვა და სხვა უჯრედების მუშაობის გამოცოცხლების მიზნით, მათზე აქტიურ ამხანაგების მიმაგრება და სხვა.

ახალგაზრდათა კომინტერნის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად სიტყვით გამოვიდა ამხ. თავართქილაძე. მან აღნიშნა თუ როგორი მუშაობის წარმოება უხდებოდა ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტურ კავშირს სამოქალაქო ომის დროს და როგორ მუშაობს ის ამ ჟამად. ამხანაგი შეეხო აგრეთვე თუ როგორი სახით უნდა იქნეს მუშათა ახკომკავშირის ორგანიზაციებთან ჩვენი დაახლოება ჩატარებული.

მოხსენების გარშემო წარმოდგენილი რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

წითელ ჯარში მუშაობის დროს ჩვენი მორიგი ამოცანების შესახებ ილაპარაკა ამხ. პატარაიამ. ის ვრცლად შეეხო თუ როგორ და რა სახით უნდა ჩავაბათ კავშირის წევრები აქტიურ მუშაობაში.

აქამდე ჯარში ძლიერ მოიკოჭლებდა ჩვენი საქმიანობა. ამხანაგების უდიდესი პროცენტი გულგრილად ეკიდებოდენ მუშაობას. ამ ჟამად ყოველ გვარი ღონისძიება იქნება მოხმარებული მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

როგორც მომხსენებელმა ისე მის შემდეგ გამოსულმა ამხანაგებმა ერთხმად აღნიშნეს მუშაობის გამოცოცხლების აუცილებლობა და აქეთკენ მოუწოდებდენ კრებას.

ამორჩეული იქნენ ამხანაგები სხვა და სხვა უჯრედებზე მისამაგრებლად და კრებაც დაიშალა.

სამხკორი **შალაშინი.**

ხელოვნების შესწავლის საქმე წითელ ჯარში.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის კლუბთან არსებულ სამხატვრო ინსტიტუტი ამ ბოლო ხანებში ძლიერ გამოკეთდა. მსმენელთა რიცხვი გაიზარდა 100 დან-300. აქედან ნათლად სჩანს, რომ ხსენებულ ინსტიტუტის ორი წლის არსებობამ და მისმა ნაყოფიერმა მუშაობამ ხელოვნების დარგში, კარგი შედეგი გამოიღო და მრავალ მსმენელთა ყურადღება მიიპყრო.

სამხატვრო ინსტიტუტში უმეტეს ნაწილად ითვლებიან მსმენელებათ ლაშქრის ნაწილებიდან მოვლინებული წით. არმიელები და მუშა მოსამსახურეები სხვა და სხვა კავშირებიდან.

სწავლა ინსტიტუტში სწარმოებს საღამოობით, არის დღისითაც. ინსტიტუტს აქვს მსწრაფ მხატვრობის განყოფილებები: ქანდაკების, საკომპოზიციო და ნატურის. ყველა განყოფილებებში არის გაკრული სამეცადინო ცხრილი, სადაც აღნიშნულია დღიური გაკვეთილები.

სწავლა ინსტიტუტში სისტემატიური და დიდი ინტერესით სწარმოებს, გამგეც დიდი ენერგიული მუშაა. ყოველგვარი საქმე მსმენელებთან შეთანხმით კეთდება.

სასურველია რომ ჩვენი ინსტიტუტის ცხოვრებიდან იწერებოდეს გაზეთებში, რომ ჩვენი შემოქმედება ვრცელდებოდეს როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

იმედია ამას მიაქცევენ ჩვენი ინსტიტუტის მსმენელები ყურადღებას და გაავრცელებენ ჩვენ წითელ ჯარში ხელოვნებისადმი სიყვარულის.

ლაშქრელი-ინსტიტუტელი.

ცალკე მესანგრე ასეულის სამკითხველო.

ჩვენი სამკითხველო მდიდარია ქართული და რუსული ლიტერატურით. სამკითხველო მშვენივრად არის მოწყობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა წითელ არმიელებს არ შეუძლიათ დიდი ხნი დაჰყონ იქ და იკითხონ წიგნები, რადგან მეტის მეტად ცივა. საკვირველია რად არ ღებულობენ ზომებს სამკითხველოს გასათბობათ?

ყოვლად შეუძლებელია ასეთ სიცივეში ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვა სამკითხველოში. იმედია ამის შემდეგ მაინც მიაქცევენ ყურადღებას. სხვა რომ არა იყოს რა მარტო ბიბლიოთეკის გამგე დაავადმყოფდება სიცივისგან.

მკითხველი.

სამხედრო ტრიბუნალში.

19 ნოემბერს სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით, ამხ. გოგიჩაიშვილის და გამჯუნიას კოლეგიის წევრობით და სამხედრო პროკურორის ბუჟიაშვილის მონაწილეობით განიხილა საქმე ქართულ დივიზიის ვეტლაზარეთის გამგის მიხეილ დიმიტრის-ძე კორძახიას, რომელსაც ბრალი ედებოდა სახაზინო ფულის მითვისება და გაფლანგვაში, წინასწარ შეცდომით საბუთში არა სწორი ცნობის შეტანაში და სამსახურისადმი გულგრილობაში თანახმად ს. ს. კ 116 მ. II ნ; 119 მ. 3 მ.

1923 წ. 5 თებერვლიდგან, აღნიშნული ვეტლაზარეთის გაუქმების შესახებ, წინანდელმა გამგემ სანიკიძემ მიიღო ბრძანება, რომ მიელო ქონება ლაზარეთისა მას და გადაეტანა ლეგიონში და ჩაებარებია მიმღები კომისიისათვის. სანიკიძემ გადაიტანა ქონება ცხენოსან ლეგიონში, დაკეტა ძველი შენობა და მიუჩინა დარაჯი. შეუდგა რა, სანიკიძე ქონების ჩაბარებას, იქნა გაცემული ახალი ბრძანება, რომ დივლაზარეთი ისევ აღედგინათ, და ახალ გამგეთ დაინიშნა ვეტექიმი კორძახია, რომელსაც მიეცა წინადადება მიეღო ძველი ლაზარეთის შენობა. კორძახიამ ისე ჩაიბარა ეს შენობა, რომ არ დაისწრო წინანდელი გამგე სანიკიძე და მიღების შესახებ არ შეადგინა სათანადო ოქმი. ამ დაუდევრობამ გამოიწვია ის, რომ ძველ გამგე სანიკიძეს აკლდებოდა ბევრი სახაზინო ქონება, და ამ გარემოებას სანიკიძე ხსნიდა შემდეგით: „როდესაც მე გადმომქონდა ქონება ცხენოსან ლეგიონში, ნაწილი ქონებისა დავტოვე ძველ შენობაში, და რადგანაც ახალმა გამგემ კორძახიამ ჩემ დაუსწრებლად ჩაიბარა შენობა, მე პასუხისმგებლობას ვიხსნი თავიდან.“ო მართლაც კორძახიას ასეთმა მოქმედებამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სანიკიძეს და ნაკლისის გამორკვევა ფრიად გაძნელდა.

მიიღო რა ახალი თანამდებობა კორძახიამ, მას არ ჰქონდა სამნეო აპარატი და არც თვითონ იყო გამოცდილი საკანცელარიო საქმეებში, ამისათვის მან სამჭედლოს ინსტრუქტორის თავისუფალ თანამდებობაზე დანიშნა ვიღაც მოქ. ხატიაშვილი, რომელიც, ვინაიდგან სამჭედლო იმ დროს არ მუშაობდა, კორძახიას უნდოდა გამოეყენებინა საკანცელარიო მუშაობისათვის. ხატიაშვილი სრულებით არ გამოცხადებულა სამსახურში, რაზედაც ხუთი დღის შემდეგ მოხსენდა სიტყვიერად დივ. ვეტ. ექიმს ფარეიშვილს. ფარეიშვილმა გასცა წინადადება კორძახიას შემოეტანა პატაკი ხატიაშვილის დათხოვნის შესახებ და მის ადგილზედ სხვა ვინმეს მონახვისა, მაგრამ მთელი ორი თვის განმავლობაში, ხატიაშვილი მაინც ირიცხებოდა აღნიშნულ თანამდებობაზე, იწერდა კორძახია მაზედ როგორც ჯამაგირს, ისე ულუფას, და ასეთს აძლევდა მოქ. ზემსს, რომელიც ბრძანებით არ იყო ჩარიცხული დივლაზარეთის არავითარ თანამდებობაზე, მაგრამ ჰყავდა მოწვეული კორძახიას საკანცელარიო მუშაობისათვის. რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს კორძახია თვითონაც სარგებლობდა ხატიაშვილზედ გამოწერილი ჯამაგირით და ულუფით, სასამართლომ ეს ბრალდება დაუმტკიცებლად სცნო რადგანაც გამოირკვა რომ, სრულ ჯამაგირს და ულუფას ხატიაშვილისას სრულად ღებულობდა ზემსი.

კორძახიას დაუმტკიცდა ბრალდება სამსახურის დაუდევრობაში და საქმის საბუთში არა სწორი ცნობის შეტანაში ს. ს. კ. 119 და II მ. ამის გამო ტრიბუნალმა მიუსაჯა ბრალდებულ კორძახიას გამასწორებელ სახლში მოთავსება ერთი წლის ვადით სასტიკი იზოლიაციით.

მაგრამ მიღებული იქნა რა მხედველობაში, რომ კორძახია 1921 წ. მსახურობს წ. ჯარში და მას ცუდი არაფერი ჩაუდენია და თანახმად ს. ს. კ. 28 მ. სასჯელი მას გაუნახევრა.

დიხ.

ამბები სოფლებიდან.

გამსესხებელი ამხანაგობების მოწყობა.

დუშეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გამოითხოვოს ცენტრიდან გრძელ ვადიანი სესხი დუშეთის მაზრაში საკრედიტო ამხანაგობების მოსაწყობათ.

ტელეფონი სოფლათ.

დუშეთის აღმასკომმა დაადგინა დაუყონებლივ შეუდგეს ტელეფონის გაყვანას სოფ. ჭიპორტში.

ფუტკრის გადაცემა.

რაჭის სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებამ გადაეცა „ხარის თვალზე“ არსებული 40 ძირი სკა, რომელიც ეკუთვნოდა ქუთ. სამეურნ. სასწავლებელს.

თელავის გამშვენიერება.

თელავის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება ამ ჟამად აწარმოებს ქუჩებისა და ქალაქის ბაღის გამშვენიერებას.

ელექტრო სადგური მუხრანში.

მუხრანში არსებულ ელექტროსადგურიდან ახლო-მახლო მცხოვრებლებს ეძლევათ სინათლე. სულ სადგურს დადგმული აქვს 100 ლამფა.

ბოგირების შეკეთება.

თიანეთის რაიონში შეკეთებულ იქნა ყველა ბოგირები, რაზედაც სამაზრო აღმასკომს დაეხარჯა ათას მანეთზე მეტი.

აბანო სოფლათ.

სოფელი კობის (დუშ. მაზრა) გლეხებმა გადასწყვიტეს შეაკეთონ და გაადიდონ ადგილობრივი სახალხო აბანო.

საზაფხულო თესვისთვის.

დუშეთის აღმასკომის პლენუმმა დაავალა რაი-აღმასკომების თავმჯდომარეებს მოაგროვონ ცნობები თუ რამდენი სათესლე მასალა იქნება საჭირო, რომ დაურიგდეს მათ რაიონებს გლეხებზე გასასესხებლათ.

როგორ უნდა გაიგნო გზა უცნობ ადგილებში.

კარგია, თუ წითელ არმიელმა, რომელსაც მინდობილი აქვს დაზვერვა ან სხვა რაიმე საქმის შესრულება უცნობ ადგილას, იცის რუქით ან ყიბლანით სარგებლობა, რომ გაიგნოს გზა.

რუკაზე აღნიშნულია მდებარეობა, ე. ი. მთები, გორაკები, ხრამები, გზები, სახლები, ტყეები და სხვა.

მაგრამ არის ხშირად ისეთი მდგომარეობა, რომ გზის გაგნება ძნელია.

მაგალითად, ღამით ვერ გაარჩევ რუქაზე აღნიშნულ მდებარეობას.

ამის გარდა, რომ ისარგებლო რუქით უნდა გამონახო ის მდებარეობა, რომელზედაც ხარ. მაგრამ უცნობ ადგილას ამის შესრულება სიჩქარის გამო ძალიან ძნელია.

ხედავ, რომ უცნობ ადგილას სდგას ხე, მაგრამ რუქაზე მისი გამონახვა ძნელია, რადგან ხეები ერთი მეორეს გავს და ასე სხვა საგნები.

ხშირად დაუშვებელია ადგილობრივ მცხოვრებთ გამოკითხო მდებარეობაზე რაიმე, რადგან შეიძლება ისინი მტერს გაყვენ უკან ან გაქცეთ თქვენ.

ასეთ შემთხვევაში რუქის გარეშე უნდა მოაწესრიგოთ ეს საკითხი, ან სხვა ხელსაწყოს საშუალებით.

ასეთი ხელსაწყო არის ყიბლანი.

ყიბლანი—ეს მგვრალი კოლოფია, რომლის შიგნით მოთავსებულია ანდამაცის ისარი.

ანდამატის ისარი არის ყიბლანის მთავარი ნაწილი, რომლის წვერი მუდამ მიმართულია ჩრდილოეთისაკენ.

როცა იცი ჩრდილოეთი, ამის შემდეგ, რასაკვირველია, გზის გაგნებაც არ გაგიჭირდებათ.

მხოლოდ ერთი რამ უსათუოდ უნდა იცოდე, თუ რომელ მხარეს სდგას ჩვენი ან მტრის ჯარი.

მაგალითად, ვსთქვათ, რომ ჩვენ ვებრძოდით ვრანგელის ბანდებს. ის მოკალათებული იყო ყირიმში, ე. ი. სამხრეთით. შენ თუ წახვალ ჩრდილოეთით უსათუოდ გამონახავ შენს ნაწილს, რასაკვირველია, თუ მტერი ზურგში არ არის შემოსული.

ხელთ არა გაქვს ყიბლანი, მაგრამ ცაზე არის მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

ესენი დაგეხმარებიან, თუ რომელი მიმართულებით უნდა წახვიდე. მხოლოდ უნდა გახსოვდეს, რომ მზე თორმეტ საათზე მუდამ სამხრეთის მხარეზეა, აღმოსავლეთით—გაზაფხულზე ექვს საათზე, ზაფხულში 4 საათზე, შემოდგომაზე შვიდ საათზე და ზამთარში რვა საათზე. გაზაფხულზე საღამოჩით მზე 18 საათზე ჩადის—ეს დასავლეთი იქნება, ზაფხულში—20 საათში, შემოდგომაზე-18 საათ. და ზამთარში—16 საათში.

მთვარე, მაგალითად, 18 ს.—აღმოსავლეთისკენაა, 24 ს.—სამხრეთისკენ.

ამისათვის საჭიროა საათი, მაგრამ ის ხშირად ბევრს არა აქვს. აქედანაც არის გამოსავალი.

არის ყველასათვის ცნობილი ვარსკვლავი (თუ არ იცი სთხოვე ვინმეს გიჩვენოს).

აი, საიდანაც ეს ვარსკვლავი მოსჩანს, სწორედ ის არის ჩრდილოეთი.

ვისაც ტყეში უნადირნია და უვლია, მან კარგად იცის, რომ ხეები და ქვები ჩრდილოეთის მხარეს მუდამ ხავს მოკიდებულნი არიან, თითქოს თავს იცავენ სიცივისაგან.

აგრეთვე უნდა დააკვირდეთ ხეებს, რომლებიც დიდ დახმარებას გაგიწევენ გზის გამონახვაში. ხეებს მრავლად აქვს ტოტები სამხრეთ მხარესკენ, ჩრდილოეთით კი ნაკლები, რადგან ჩრდილოეთით მას ქარი და თოვლი მოსვენებას არ აძლევენ.

როცა იცი ყოველივე ეს კარგად, მაშინ, რასაკვირველია, ჩრდილოეთის გამონახვა არ გაგიჭირდება და შემდეგ გზასაც ადვილად გააგნებ.

დადექი ისე, რომ პირი გქონდეს ჩრდილოეთისკენ, გაშალე ორივე ხელი და საქმე გათავებულია. მარჯვენა ხელი გიჩვენებს აღმოსავლეთს, მარცხენა—დასავლეთს და წელი —სამხრეთს.

ყოველმა წითელ არმიელმა ეს კარგად უნდა დაიმახსოვროს, რადგან ვინ იცის თუ რა პირობებში მოგიხდება ბრძოლა ან რა მდგომარეობაში ჩავარდები.

ელ.

ახალი ამბები.

— **მარქსისტული წრე.** 1-ლი დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან შესდგა მარქსისტული წრე. წრე პირველ მეცადინეობას იწყებს სამშაბათს 25 ნოემბერს.

— **აღმასკომები ეხმარებიან წითელ-არმიელთა ოჯახებს.** სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში თიანეთის აღმასკომმა დაურიგა წითელ არმიელთა ოჯახებს დახმარების სახით 600 მანეთი.

— **ტყეების დაცვის მიზნით.** მიწ.-მოქმ. კომისარიატმა ცირკულიარულათ მიმართა ყველა სამაზრო აღმასკომებს ჩაატარონ ყველა სოფლებში საგიტაციო კომპანიები ტყეების დაცვის მნიშვნელობაზე.

— **საფოსტო ბარათები ლენინის სურათით.** ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატმა გამოუშვა გასასყიდათ საფოსტო ღია ბარათები მხატრულათ შესრულებულ ლენინის სურათებით.

— **მეტრიული სისტემა.** ტელეფონების ცენტრალურ სამმართველომ მიმართა ყველა ქვემდებარე დაწესებულებებს მოემზადონ მომავალი წლიდან მეტრიული ზომა-წონის შემოსაღებათ.

— **გაგზავნა საზამთრო კურორტებზე.** დაზღვევამ კასამ უკვე გაგზავნა ქობულეთში დაზღვეულ ავათმყოფ მუშა-მოსამსახურენი. ახლო ხანში მეორე პარტია გაიგზავნება აბასთუმანში.

— **უმუშევარი ქალები.** უმუშევარ ქალებს მიანდო ჯანსახკომმა თეთრეულის შეკერვა საავათმყოფოსათვის.

— **კონსერვების დამზადება.** ტფილისის ქალაქის აღმასკომის საკონსერვო ქარხანამ დაამზადა 20 ათასი ცალი ხილეულის კონსერვი.

— **საბიბლიოთეკო კურსებზე.** სკოლის გარეშე განათლების სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო კურსები დაასრულა 90 კაცმა, მათ შორის 78 ქართველია.

— **მცხეთის მიწერა ტფილისის მაზრაზე.** საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მცხეთა შემოერთებულ იქნეს ტფილისის მაზრაზე.

— **ლოიალური დამოკიდებულების გამო.** საქ. ცაკმა დააკმაყოფილა იუსტიც. კომისარიატის შუამდგომლობა იმ პატიმართა სასჯელის შემსუბუქების შესახებ, რომლებიც სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში გამოუშვეს მენშევიკურმა ბანდებმა ციხეებიდან და რომლებიც თითონ დაბრუნდნენ გამსახლებში სასჯელის მოსახდელათ.

ნ.დ. ს. ც ტირაჟი 1500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ბ. ბუაჩიძე